სამშობლო

კვირა

24 იანვარი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონის პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 270 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 270

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიგ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

მიხეილ დიანოსის ძე, დიანოს მახარობელის ძე და ივანე ზაალის ძე სვანიშვილები; მღვდელი სიმონ დავითის ძე კილაძე და ძმები მისი: ივანე, სამსონ და გიორგი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უსაყვარლესი მეუღლის, მეორეთა ძვირფასი რძლის და უკანასკნელთა დაუვიწყარი დის

ქამიტო დავითის ასულის სვანიშვილისა

გადახდილი იქნება ამა 1916 წ. იანვრის თვის 24 რიცხვს, დღით კვირას, დილის თერთმეტ საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე. 1—1

წარმოდგენა № 46

ქალაქი ქუთაისი. **„ქართული დრამა“** ქალაქის თეატრი.

კვირას, 24 იანვარს 1916 წ. წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა

ქეთევან წამებული

5 მოქ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. მესხი ევემია, ლოლობერიძე ოლიმპიადა, ჩხეიძე ანნა; ბბ. ზარველი ვანო, კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება პლატონ კორიშელის საბენეფისოდ **„სიყვარული და ვერაგობა“**

კომერციული არითმეტიკა

შედგენილი

პ. გიგინეიშვილის მიერ

წიგნი გამოსადეგია მასწავლებელთა და უფროს კლასების მოწაფეთათვის. ფრიად საჭიროა ვაჭართა და ნოქართათვის და საკრედიტო და სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის. 2—1

იყიდება:

ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში

თბილისში ქ. შ. წ. კ. საზ. მაღაზიაში.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალური, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 25 იანვრიდან ახალი პროგრამა

გზა გულისკენ.

თანამედროვე დრამა 2 ნაწილად. გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით.

კაცი მარცხნივ, ქალი მარჯვნივ. მხიარული ფარსი 3 ნაწილად.

გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 25 იანვრიდან, განსაკუთრებით მოზრდილთათვის ნაჩვენები იქნება

ბოშა ქალი თავის უფლებისა.

თანამედროვე დრამა 1 ნაწილათ ბოშათა ცხოვრებიდან.

გასულელებული მეუღლე. კომედია — ფარსი სამ ნაწილად მერვალდისა.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე დოლობერიძე.**

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი **გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი **ი. ჩარკვიანი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ყსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორულს მეტ სიწითლეს, ნაყვავილევს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 22 იანვარი ოფიც. **დასავლეთის** ფრონტი. მიტავის გზატკეცილის აღმოსავლეთით, პლაკანენის რაიონში, ჩვენმა მზვერავთა რაზმა ხელით სასროლ ყუმბარებით გაფანტა გერმანელები და უვნებლათ დაბრუნდა უკან. იკსკულის სამხრეთით გერმანელები ღამით შეეცადენ დვინაზე მუშაობის დაწყებას, მაგრამ ჩვენის ცეცხლით გაფანტულ იქნენ საჰაერო დაზვერვის დროს ნაროჩის ტბის ჩრდილოეთით, ჩვენმა მფრინავებმა, მიუხედავათ მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლისა, ყუმბარები დაუშინეს მოპირდაპირის ბანაკს და საბარგო ურმებს, რომელიც შენიშნულ იქნენ ბიდზისკენ მიმავალ გზაზე და უვნებლათ დაბრუნდენ დუბნოს სამხრეთით ავსტრიელები ხმარობენ იერიშის მოსაგერებელ აპარატს, რომელიც ისვრის კვამლს 30—1640 მეტრის მანძილზე. შუა სტრიპის ფრონტზე ჩვენ მფრინავმა სადგურ ეზერნს ყუმბარები ესროლა. დნესტრზე მტერი განაგრძობს საარტილერიო სროლას. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა მძიმე არტილერიამ, ჰაეროპლანების დახმარებით ყუმბარები დაუშინა მოპირდაპირის ბატარეას ტოპოროვეცის რაიონში. ბოიანის ჩრდილო-დასავლეთი რამდენიმე ჩვენმა მზვერავმა მიაღწია ავსტრიელებისკენ დაკავებულ ქურამდი და ხელით სასროლ ყუმბარებით გადმოდენა მტერი და ააფეთქა ორი სანაღმო გალერეია, რომელიც ჩვენი თხრილებისკენ იყო გაკეთებული. თვით ქურა მიწით ამოავსეს.

კავკასიის ფრონტი.

მიუხედავათ ცუდი გზებისა, ქარბუქისა და ხრამებისა ჩვენი ჯარი მაინც წინ მიიწევს და მტრის დევნას განაგრძობს.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

67

ომის ამბები.

(ქართულ გაზეთებიდან)

როდის დამთავრდება ომი?

16 იანვარს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტთან საუბარში სხვათა შორის ომის დამთავრებაზე შემდეგი განაცხადა: „კითხვაზე, თუ როდის დამთავრდება ომი, შემდეგი შემიძლია ვსთქვა: გერმანია მრავალ წლიან ომს ვერ აიტანს; ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ომი კიდევ რამდენიმე წლიწადს გასტანს, უფრო კი მოსალოდნელია, რომ ომი წელს დასრულდეს, მაგალითად მომავალ შემოდგომაზე ნოემბერში".

რიგის რაიონში.

რიგის რაიონში ბრძოლა ჯერ კიდევ არ გაცხოველებულა. აქ მხოლოდ გერმანელნი რუსების წინააღმდეგ მახრჩობელ გაზებს ხმარობენ, მაგრამ რუსის ჯარი ახლა უკვე თვალსაჩინოთ არის შეიარაღებული და მტრის გაზები მას ბევრს ვერაფერს აკლებენ.

საბერძნეთის წინაღმდეგ.

სალონიკიდან „რეიტერის სააგენტოს" აუწყებენ, რომ ინგლისის, საფრანგეთის, რუსისა და იტალიის სამხედრო გემებმა 15 იანვარს დილით ადრე კარა ბურუნის ნახევარ კუნძულზე ჯარები მიიყვანეს, რომლებმაც საბერძნეთის სიმაგრე-ფორტი დაიკავეს. ბერძნების გარნიზონს წინააღმდეგობა არ გაუწევია. კარაბურუნი ხალკედონიის განაპირაა.

რუსის ჯარის ბანაკში.

ამ დღეებში რუსის ჯარის ჩრდილოეთის ბანაკი მოსკოვის ქალაქის თავმა ჩელნოკოვმა და თვ. ლვოვმა ინახულეს. შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსეევმა სხვათა შორის ჩელნოკოვს გამოუცხადა: ჩვენ აქ, ფრონტზე ყველა დარწმუნებული ვართ, დიახ გავიმარჯვებთ, თუ რასაკვირველია იქ, შინ ყველაფერი რიგზე იქნება. რუსის ჯარიო, სთქვა გენერალმა ახლა ძალიან კარგათ არის შეიარაღებული, კარგათაც არის ჩაცმული და კარგადაც იკვებება. გერმანელებს ახლა მხოლოთ „ტეხნიკა" დარჩათ: ქვეითა ჯარი თითქმის აღარ ჰყავთ და არ იციან რა ქნან, ვინ გამოუშვან საერიშოთ. ჩვენ ყოველგვარი ზომა ვიხმარეთ, რომ მოსალოდნელი შემოსევა-შეტევა თავიდან აგვეშორებათ და მივაღწიეთ კიდეც მიზანს: გერმანელები ჯერ ადგილიდან არ დაძრულან. ერთი სიტყვით, „შტაბის უფროსის სიტყვით, რუსეთის მხედრობა მხნეთაა და ყველაფრით მომზადებულია, რომ გერმანიის ახალი დაკვრა აიტანოს და მას პირი აბრუნებინოს მინისკენ. როგორ გაამართლებს ნათქვამს სინამდვილე, ამას ახლო მომავალში დავინახავთ.

ინგლისელ მწერლის წინასწარმეტყველება.

ამ რამდენიმე დღის წინათ „სამშობლოს" მკითხველთ გერმანელ უტოპისტის ლუნკეუსის ოცნება გავაცანით; ახლა ინგლისელთა წინასწარმეტყველობაც მოვისმინოთ.

ინგლისის ორი მწერალი ედგარ უოლესი და უელსი საზოგადოების მომავალ წყობილებაზე როდი ოცნებობენ: მათ ახლანდელი ინგლისური წყობილება იდეალათ მიაჩნიათ და უკეთესს ვერც წარმოიდგენენ! ისინი პირდაპირ წინასწარმეტყველობენ მომავალ ომზე, მომავალ საერთაშორისო ურთიერთობაზე და სხვა არაფერი.

პირველი ბელეტრისტიული ფორმით გვიხატავს მომავალ ომს, ხოლო მეორე „მეცნიერული" მეთოდით აღჭურვილი მომავალზე პირდაპირ წინასწარმეტყველობს. ძირითადი დებულებები ორივესი ერთი და იგივეა, მხოლოდ დასკვნა სხვა და სხვა გამოყავთ. რომანისტი 1925 წ. ომს აგვიწერს, ხოლო მეორე მეცნიერი მომავალ საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესის დანიშნულებაზე გვესაუბრება.

ორივეს, რა თქმა უნდა დღევანდელ ომში ინგლისის საბოლოვო გამარჯვება სწამს, მათი აზრით გერმანია უთუოდ უნდა დამარცხდეს. შინაური წყობილება კი ისეთი დარჩება, როგორიც დღემდე იყო. მათ მხოლოდ ზავის კითხვა აფიქრებთ: როგორი იქნება ზავი და რამდენათ ხანგრძლივი დარჩება მომავალი მშვიდობიანობა.

როგორია მათი პასუხი ზემოთ დაყენებულ კითხვაზე?

რომანისტს ედგაროლესს თავის რომანში — „1925 წელი", დღევანდელი მსოფლიო ომის დასასრული შემდეგნაირათ აქვს წარმოდგენილი:

დღევანდელ ბრძოლაში ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოთა კოალიცია სასტიკად დამარცხდა და გერმანია ჩქარობს, რომ რაც შეიძლება ზავი მალე ჩამოაგდოს; იგი მზათაა გამარჯვებულთა ყოველგვარ მოთხოვნებს დაემორჩილოს. ზავი შეიკრას: გერმანიამ არა თუ მარტო ყველა მის მიერ ახლათ დაპყრობილი ქვეყნები გაანთავისუფლა, დაცალა, არამედ მან ელზას ლორენიც და პოზნანიც დასთმო. გერმანია კონტრიბუციის გადახდასაც თანხმდება. მხოლოდ კოპენჰაგენის სამშვიდობო კონგრესზე იგი გადაჭრით უარს ამბობს ორი პუნკტის შესახებ: მთელი თავის ფლოტის გადაცემაზე და გერმანიის სამეფო გვარეულობის, ჰოჰენცოლერნების ტახტიდან გადაყენებაზე. გამარჯვებული მოკავშირეები ამის შესახებ უთმობენ გერმანიას და ზავის პირობებს ორივე მხარე საბოლოვოთ ხელს აწერს.

დამარცხებული გერმანიის ეკონომიური მეტოქეობა სულ თავიდან რომ მოიშორონ, ამისთვის მის საქონელზე ბოიკოტს აცხადებენ; მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, „რომ საჭიროა უცხო ქვეყნის საქონელსაც ყიდულობდნენ, რათა მან მათი დამუშავებული ფაბრიკანტების შეძენა შეიძლოს", მაშინ ბოიკოტი მოხსნან და გერმანიასთან კეთილ-მეზობლური განწყობილება დაიკავეს.

ინგლისი გერმანიას სულ უფრო და უფრო უმეგობრდება. დამარცხებული გერმანია კი შურის ძიების ბოღმით არის გაჟღენთილი და შესაფერ მომენტს ელის. მანამდე კი ის ცდილობს, რომ თავისი გრძნობა—განზრახვა მტერს დაუფაროს და არაფერი არ შეამჩნევინოს. საოცარი დისციპლინით იცავს ამ საიდუმლოებას თვითონ გერმანელი ხალხი, მაშინ როდესაც ყველა ინგლისისადმი მძულვარებით არის გამსჭვალული.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ეს საიდუმლო ერთ პროვინციალურ გაზეთში ოდნავ მჟღავნდება, მჟღავნდება იმით რომ გაზეთი გერმანიის მომავალს ეხება და ამბობს: გერმანია დაამარცხებს თუ არა თავის მუდმივ მოსისხლე მტერს, ისევ ფენიქსისებურათ განახლდება და დღემდე დაცემული კვლავ წამოიჭრებაო.

გაზეთის ასეთ განცხადებაში გერმანიის მთავრობამ დიდი საიდუმლოს გამომჟღავნება დაინახა; გაზეთი მაშინვე დახურა და რედაქტორი სამხედრო სამართალში მისცა, რომელმაც მას 20 წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. ასეთი სისასტიკით გერმანიას სურს ინგლისს დაანახვოს, რომ იგი მისი მეგობარია.

და ასეთი ცბიერების გზით გერმანია აღწევს 1925 წ. ახლა იგი უკვე მზათაა საომრათ და აი მან ვერაგულათ ლახვარი ჩასცხო ზურგიდან ინგლისს. ეს მოაწყო შემდეგნაირათ.

1925 წელს გერმანია შლეზვიგ-ჰოლშტეინში მსოფლიო მშვიდობიანობის დღესასწაულს მართავს, რომელზედაც იწვევს დასასწრებლათ ინგლისის ხალხს. ამ დღესასწაულზე მისასვლელათ იგი ინგლისელ სათადარიგო ჯარის კაცებისთვის უფასოთ: მგზავრობას აწყობს; და ამნაირად დღესასწაულზე 600,000-მდე ინგლისელი ჯარისკაცი იყრის თავს.

ინგლისის მთავრობა გერმანიის მეგობრობაში დარწმუნებული დღესასწაულების დასრულებას დამშვიდებული გულით მოელის და აი ამ დროს იგი თავზარდამცემ დეპეშას ღებულობს შლეზვიგიდან: „გერმანელებმა ყველანი დაგვატყვევესო." ერთი საათის შემდეგ მეორე დეპეშიც მიიქვთ: ბრიტანეთის მთელი ფლოტი, რომელიც სადღესასწაულო მიმოსვლაში იყო გართული, გერმანიის წყალქვეშმავალმა ნავებმა სულერთიანათ ზღვაში ჩაღუპეს. კიდევ რამდენიმე წუთი და მესამე დეპეშიც მოდის: „250,000 გერმანელი ჯარის კაცი ინგლისის ნაპირებზე გადმოსხდა და ლონდონის დასაპყრობათ მიუყვთ". რომანი ამით თავდება. დაკვირვებული მკითხველი, ცხადია მიხვდება, თუ დაწყებული ომი რით უნდა გათავდეს. ცხადია გერმანია შურს იძიებს და ინგლისს გაანადგურებს. მაგრამ ავტორს კი, როგორც პატრიოტს არ სურს და ამის თავიდან ასაშორებლათ ის თავის წინასიტყვაობაში მოკავშირეებს ურჩევს რომ ახლანდელი ზავის შეკვრის დროს სამშვიდობო კონგრესზე ორი პუნქტი, რომლებიც გერმანიის ფლოტს და სამეფო დინასტიას შეეხება არამც და არამც არ დათმონ. ვინაიდან მისი აზრით გერმანიის საბოლოვოთ დამორჩილება მხოლოდ მისი ფლოტის და ჰოჰენცოლერნების მოსპობით შეიძლება. მაგრამ რაკი მან იცის რომ კონგრესი მის რჩევაზე არ გაივლის, ამიტომ იგი 1925 წლის მომავალ ვერაგულ ომს წინასწარმეტყველობს. უელსი შემდეგში სხვა ასეთ წინასწარმეტყველებსაც გვიქადის. მან უკვე დაიწყო რომანი, თუ მოთხრობა სათაურით „რა დაიწყება". ალბათ ახლანდელი მსოფლიო ომის შემდეგ.

ცხადია, რომ ზემოთ გადმოცემული რომანის ავტორი ახალს ვერაფერს გვეტყვის: ვისაც მომავალი საზოგადოების სოციალური წყობილების ძირითადი ცვლილება არ სწამს, იგი არსებულ კონკურენციის ატმოსფერას ვერ გაშორდება და აქედან ერთი ურთიერთ განადგურება-ჟლეტის სურათების მეტს ვერას წარმოადგენს.

იქნებ მეორე წინასწარმეტყველი, „მეცნიერი" მკვლევარი, ა. [illegible] ყვის ახალს! ვნახოთ.

„როცა ახლანდელი ომი დაიწყო, [illegible] იგი, ყველა ქვეყნ [illegible] რობდა, რომ და [illegible] რისა აწეწილ-დაწეწილი ურთიერ მრავალ საკითხთა უმეტესობას მაინ დაჭრის და ამნაირათ ეს ომი უკან ლი იქნება, სისხლის ღვრა სამუ შეწყდებაო". ასე ფიქრობდა ავტ თურმე, როცა იგი ომის წინად წიგნებს სწერდა: „ომი, რომელი ბოლოს მოუღებს" და „საყოველთაო დობიანობა"-ს. დაამყარებს ახლა კი რ ომის მსვლელობას უკვირდება, თავის წ ასწარმეტყველებაში რამდენიმეთ ეჭვი რება და კითხულობს: „შესაძლებე მერე საყოველთაო მშვიდობიანობის ცვა საბოლოოთო?". კითხულობს ტორი და ცოტაოდენი ყოყმანის შე უპასუხებს: დიახ, შესაძლებელიაო; უმთავრესათ იქიდან გამოყავს, რომ დედამიწაზე მცხოვრებთა დიდი უმ სობა ომის წინააღმდეგია და ამას მშვიდობიანობის განმტკიცებას ის მებიც შეეცდიან, რომ ახლანდელი მოპირდაპირის სრული გამანადგურებე არ იქნება. მართალია, ფიქრობს ავტ რი, ამ ომში გერმანია დამარცხდება, გრამ მას სრულიად არ გაანადგურებ რაც კვლავ აღორძინების და განვით ბის საფუძველს მისცემს მას. ამიტომ ხელახლა ომს არ მიმართავს, არამ ეცდება, რომ ყოველგვარი უთანხმ მოპირდაპირეებთან საერთაშორისო ს დიატორო სასამართლოს საშუალე მოაგვაროს.

გერმანია უელსის წარმოდგენით მილიტარისტულ ქვეყნად დარჩება ავსტრო-უნგრეთს შეუერთდება; ამით გაერთიანებული იმპერიები იძულებუ გახდიან სახელმწიფოებს, რომ ამ გა ვე კავშირები შეადგინონ და აქედან იქნება ნაციათა ფედერაცია, უკეთ ვთქვათ სახელმწიფოთა კოალიცია. რობის შუაგულ სახელმწიფოების კ ლიციას დაუ[illegible]პირდება მეორე კ ლიცია, რომელშიაც შევლენ: ინგლ საფრანგეთი ბელგია, იტალია, რუს იაპონია. ეს კოალიცია იმდენათ ძლ რია, რომ მის წინააღმდეგ გერმანია რაღს ვეღარ მიმართავს, ხოლო მეო მხრით მოკავშირეთა კოალიცია ეცდ რომ გერმანიას საბაბი არ მისცეს, რ მან თავისი მილიტარისტული ძლიე ბით კვლავ არ ისარგებლოს და ო საშუალებით მსოფლიოზე არ გაბატ

საკვირაო საუბარი.

ძველი და ახალი წელი ისევ ნატარიუსის ანჯაფარიძის კანტორაში.

(იხ. „სამშობლო" № 256)

მკითხველს ახსოვება უთუოდ, რომ გაკოტრებული ძველი წლის პოლიტიკა-დიპლომატიის მონაგარის მემკვიდრეობაზე ახალმა წელმა დიდი უარი განაცხადა და, ანჯაფარიძის წასვლის შემდეგ, ბ. კოკოჩაშვილს სამეურნეო-ეკონომიის დოგროფს შესახებ ანდერძის სიგელი უნდა შეედგინა.

მაგრამ ახალმა წელმა ამ მონაგარს უარესი პესიმისტის თვალით შეხედა: ამ სამკვიდრებელზე სრული და უფრო ცივი უარი განაცხადა და თან თავის მწყალობელ მშობელს მეტი და უმწარესი სამხილებელი სიტყვით მიმართა:

— როგორი უნაყოფო და მავნე შედიც იყო შენი დიპლომატია-პოლიტიკის უნარი წარსულში, ისეთივე გამოდგა შენი სამეურნეო, საეკონომიო და თუ გნებავს, მორალის ნაყოფიერებაც.

ეს აშკარად დაამტკიცა მიმდინარე ომიანობის ხანამ, ამ მეორეთ მოსვლის და ყოველთა და ყოვლისა განსჯისა და განკითხვის ჟამმა.

როგორ არ იცოდი, შე მამა-ცხონებულო, რომ ახლანდელ დროში სამხედრო საქმეები და ლაშქრიანობა მჭიდროთაა შეკავშირებული საერთო საზოგადოებრივს, ყოველმხრივსა, რთულსა და შემოქმედების კულტურასთან.

ეს მშვიდობიანი სამოქალაქო კულტურა-ბურჯია სამხედრო კულტურისა, ამ აუცილებელი ბოროტებისა, ისეთი ბოროტებისა, რომლის მოშორება ჯერ ვერ მოუხერხებია ვერც ერთს ერს დედამიწის ზურგზე; ეს მშვიდობიანი კულტურა-მკვებავი, განმავითარებელი და სამხედრო საქმის ძლევამოსილების განმსაზღვრელია.

და რატომ არ იცოდი, რომ ფრონტს თუ ზურგი მაგარი არა აქვს, მაშინ ფრონტის საქმე წასულია, და ის ერი იმარჯვებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელსაც ზურგი მტკიცე აქვს და ყოველგვარი სამხედრო საგზალი და საზადისი წინდაწინვე გამოანგარიშებული და მომარაგებული აქვს.

რა დონეზედაც დგას მრეწველობა მეურნეობის ძალღონე და მორალური შეგნება რომელიმე ერისა, მშვიდობიანობის დროს იმდონეზე აიწევს ხოლმე მისივე სამხედრო ძლიერებაც.

როგორ არ იცოდი, რომ სასწრაფო მისვლა-მოსვლის საშუალებას ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი როლი უთამაშნია ლაშქრიანობის დროს და ახლაც ასე უნდა ყოფილიყო.

ღვთის მადლით, ჩემზე უხუცესი ბრძენდები და გაგვეგონება ერთი დიდებული სარდლის ნათქვამი:

„ფეხმარდი თუ ხარ, ყოველთვის შეგიძლია მტერი სძლიოო"

მართალია-ახლა მარდი ფეხით მაგიერობას ვაგონების და ავტომობილების ბორბლები შვრება; რელსებისა და გზატკეცილების მაგიერობა მოკლე მომავალში, შეიძლება, ჰაერის ლიანდაგმა შეცვალოს, მართალია ჩქარი მოძრაობისა და გადატან-გადმოტანისათვის ცხენი და ჯორ აქლემი აღარ გვჭირდება, მაგრამ ეს ბორბლები და ჰაერში ფრენა განა მარტო ომიანობის დროს უნდა გეხმარა და არა მშვიდობის დროს სამეურნეო, სამრეწველო და საეკონომიო განვითარებისათვის?!

დიახ, რომ უნდა გეხმარა და ამისათვის საჭირო იყო რკინის გზის ლიანდაგები, ლოკომოტივები, ვაგონები, ელექტრონი, კარგი გზა-ტკეცილები, ხიდები და მათი დანგრევის კია არა, სწრაფად აგების ტეხნიკა.

უნდა გცოდნოდა, მშობელო, რომ ყოველივე ეს მაშინ ექნება ერს, როცა მისს სულსა და გულში, მისს ცხოვრებაში აღგზნებულია წყურვილი ურთიერთობისა, ნივთიერი, სულიერი და ზნეობრივი დაახლოვებისა და გაცვლა-გამოცვლისა; როცა ერში იერგება და ფეხს იდგამს სურვილი, როგორც უბრალო ლუკმა პურის ადვილად მოპოვებისა, ისე საფუძვლიანი და განცხრომის დამაკმაყოფილებელი საგნების შეძენისა, როცა დაუბრკოლებლად მიისწრაფიან ყოველგვარი მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

აი, ამისთვის იზრუნე შენ, პატივცემულო მშობელო!

შექმენ შენ ბადე ყოველგვარი გზებისა და სამეურნეო, საეკონომიო, სამრეწველო საჭიროებისათვის მიმოსვლათა მოხერხებული საშვალებანი?

შექმენ შენ საკმაოთ ის ჩირაღდნები, რომლებიც მეცნიერების ნაყოფიერებას არა მარტო ზეპირობით და თეორიტიულად სთესენ, არამედ რეალური საქმით და პრაქტიკულად ჰფენენ განათლების სხივებს.

არა, არ შეგიქმნია! და, რომ შეგექმნა, ახლა სამხედრო სპეციალური საჭიროებისათვის ხომ ცოტა რამეების მიმატება დაგჭირდებოდა და შენს ფრონტსაც ზურგი მაგარი ექნებოდა.

რატომ არ იცოდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობის დროის ნაწარმოები, განუწყვეტელს შემოქმედებას, შემოქმედების ყოველს დარგსა და სფეროში შეუძლია შექმნას ის მშვიდობიანი მანქანა, ის ღირებულობა და მოხერხების უნარი, რაიცა ომისათვისაც დიდი საჭირო გამოსადეგია ყოველთვის.

შენ მართლმადიდებელი ძველი კალენდრის წელიწადი ბრძანდები და პირში უნდა გითხრა, რომ როგორც დაბადება გაგვიანდება, ისე ყველაფერი გვიან გაგეხსნდება, ყველაფერს უთუოდ სხვა მოგასწრებს.

ახლა კიდევ ამას გაიძახი: ომისათვის საჭიროა ფული, სისხლი, სისხლი მინდაო.

მიკვირს, რატომ აქამდე არ იცი, რა შეიქმს ფულს და ვის ანდობენ სესხს.

როგორ არ იცოდი, რომ სახელმწიფოში ფინანსების ავ-კარგის მაჩვენებელი მშვიდობის დროის მშვიდობიანი მუშაობის, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში შექმნილი ნაყოფიერი ორგანიზაციაა და სხვა არაფერი.

სესხი დამოკიდებული უნდა იყოს ხალხის შრომის უნარზე: სახელმწიფოს შემოსავალი გადაბმულია მთელი ხალხის მუშაობასთან, სამეურნეო პოლიტიკასთან, საბანკო ორგანიზაციასთან, საშინაო განწყობილებასთან, საგარეო მოსაზრებულ ეკონომიურ ურთიერთობასთან, სირგებლიან ვაჭრობა გაცვლა-გამოცვლასთან.

მართალს თუ ვიტყვით, სამხედრო ფონდი ის კი არაა, სახელმწიფო რომ ინახავს ლაშქრიანობისათვის, არამედ ისაა, რომელსაც ხალხის შრომის ფონდი ჰქვიან, ხალხის მონაგარი ნაშრომი და მისი მაღალი ღირებულობა.

ძვირფასო მამო, თვითქმის განმსაც მშვიდობიან მაღალ კულტურის, საბანკო, საფინანსო ტეხნიკასაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მედგარი ბრძოლისა და სრული გამარჯვებისათვის.

ამასთანავე უსაჭიროესი მეცნიერება მეცნიერებისათვის, ურომლოთაც ვერ განვითარდება ტეხნიკა და, მაშასადამე, უმისოდ არც ომის წარმატებით სვლა იქნება შესაძლებელი.

ნამდვილი, საქმიანი მათემატიკა იქაა განვითარებული, სადაც კაი ხიდებს აკეთებენ, სხვადასხვა მანქანათა შემოქმედებითი პროექტებს სთხზავენ და სადაც მრავალგვარი და რთული სამეურნეო საქმე წესიერებაში მოჰყავთ.

ფინანსების და სასწრაფო მიმოსვლის კარგი საშვალებანიც არ კმარა ომის წარმატებისათვის.

საჭიროა და ძლიერ საჭიროა საზ დოებრივი სულის განწყობილება: იქ ს დაც არ არის მაღალ ხარისხამდი გა თარებული ვალდებულობის და მო ობის შეგნება, სადაც ერთი ნდობა არაა განვითარებული, იქ დამარცხებაზე და თავის გამარჯვე ოცნება—მართლა ოცნებათ დარჩება.

თუ ყველა თავ-თავის შესაფერის ა გილზე არა დგას და თავ-თავის მოვალე ობას სინიდისიერათ არ ასრულებს, მიბრძანე პატიოსანო მშობელო, ისე დიდი საქმის რიგიანად წაყვანა, როგო რიც ომია, განა შესაძლებელად მიგაჩნ და მიგაჩნია?

მეტყვი: კონტროლი?! მეთვალყურე ობა?!

აბა რასა ბრძანებ?! რის კონტროლ რა მეთვალყურეობა? რას გააწყობს ერთი, ან მეორე იქ, სადაც თავიდან ბო ლომდე, ყოველს საფეხურზე პირად ნივთიერი შეძენის, ეგოისტური გრძნ ამოქმედებს ყველას ერთად და თით ეულს ცალკე.

კონტროლი მხოლოდ იქ თუ გაბედ რასმე, სადაც განვითარებულია გრძნ პასუხისმგებლობისა, შეგნება მოვალე ბისა, თავდაჭერილობა, მედგრობა ლისა, რწმენა თითოეულისა, მეორე შემასრულებელია თავისი მოქალაქეობრ მოვალეობისა.

როცა ადამიანთა კრებული რამე საქმეს შეუდგება, კრებულის წევრთა მაერთებელი და ერთსულად და ერთ ლად ამამოძრავებელი კონტროლისა მეთვალყურის ხელი და თასმები კი უნდა იყოს, არამედ—მოვალეობის სინიდისიერი პასუხისმგებლობის რალი.

და ეს მორალი თვალსაჩინოდ თილშობილად იჩენს თავს როგო ფრონტზე ომის ცეცხლში, ისე ზურგ

ლეს. ამნაირად ორივე მხარე მშვიდობიანობის დაცვას ეცდებიან, რასაც საერთაშორისო მუდმივი სამშვიდობო კონგრესი განამტკიცებს, რომელიც მშვიდობიანობას მუდმივ ორგანოთ გადაიქცევა. და ამ ორგანოს მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი იქნება მომავალში იმით, რომ მაშინ ქვეყნად სახელმწიფოთა მესამე კოალიციაც წამოყოფს თავს. ეს იქნება ავტორის აზრით: „პანამერიკული" კოალიცია, რომელშიც შევლენ: შეერთებული შტატები, მექსიკა არგენტინა, ბრაზილია.

ახლანდელ მსოფლიო ომს ავტორის აზრით სამმსოფლიო კოალიციის შექმნა მოჰყვება; და სახელმწიფოთა რიცხვის შემცირება და დამოუკიდებელი დიპლომატობის წარმოების შეუძლებლობა საშუალებას მისცემს კაცობრიობას, რომ მომავალში ომი თავიდან აიშოროს. უელსის წარმოდგენით მომავალ სახელმწიფოში ნაციონალიზმი ხელმძღვანელი პრინციპის როლს ველარ შეასრულებს, ვინაიდან იგი „მრავალნაირი ერების ფედერაციას შეიცავს. მაშინდელი იმპერიის ხასიათი უფრო საქმით განიზომება და მუდამ შიშით იქნება შეპყრობილი მეორე და მესამე ასეთივე დიდი იმპერიის წინაშე, როგორიც თვითონ არის. გერმანული, ანტიგერმანული და პანამერიკული კოალიციური თუ ფედერატიული იმპერიები ურთიერთ შორის მუდმივ კეთილმეზობლურ განწყობილებაში დარჩებიან.

ასეთია ინგლისელ მშვიდობიან უტოპისტის ოცნება და ამაზე ჩვენ მხოლოდ ის გვეთქმის, რომ ავტორს ბევრი რამ სწორად აქვს გარკვეული, მაგრამ ამავე დროს მთავარი ფაქტორი მომავლისა კი დავიწყებია; სახელდობრ ის, რომ სახელმწიფოს შინაური წყობილება და პოლიტიკა საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო განწყობილების წარმომშობიც არის; და რადგან ავტორის წარმოდგენით მომავალ სახელმწიფოში ერთაშორის კონკურენცია არ ისპობა და სახელმწიფოთა შორის მსოფლიო ბაზარზე ეკონომიური მეტოქეობა ისევ ძალაში რჩება, ცხადია ბრძოლა ერთა შორისაც ისევ იქნება და ფორმაც და მეთოდიც ამ ბრძოლისა ასეთივე იქნება, როგორიც დღემდე იყო: ნაციონალიზმი, ნაციონალური მტრობა და ჩაგვრა ერთი მხრით, ხოლო ყოველგვარი ეკონომიური მტაცებლობა და ომი მეორე მხრით ისევ თავისებურათ იმძვინვარებს და ჩვენი აზრით გამართლდება მხოლოდ ის, რაც ჩვენ ერთ წერილში უკვე გამოვთქვით: თუ კაპიტალიზმი ისევ ძალაში დარჩა, მაშინ კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომს უნდა ელოდეს და ეს ომი ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე ან მის ახლო კი არ მოხდება, არამედ წყნარ ოკეანეს ნაპირებზე გაჩაღდება. მაგრამ, როგორც უელსიც ამბობს, კაცობრიობის დიდ უმრავლესობას მშვიდობიანობა სწყურია და ეს უმრავლესობა, ე. ი. დემოკრატია სწორედ ამ მშვიდობიანობის დასამყარებლათ იბრძვის. და აი ამ ბრძოლამ, რომლის დევიზი „საყოველთაო ზავი და მუდმივი მშვიდობიანობაა", უნდა გადაჭრას ის ძირითადი მსოფლიო კითხვა, რომელიც ზემოთ დასახელებულ წინასწარმეტყველთ დაუყენებიათ და არა შურით და მტრობით გაჟღენთილთა წარმომადგენლების, ე. ი. „დიპლომატთა" კონგრესმა.

დუდი.

დღეს, 24 იანვარს, დილის 12 საათზე, სათავად-აზნაურო, ბანკის დარბაზში დანიშნულია ახლათ დაარსებულ

გამომცემელ ამხანაგობის

„სამშობლოს" წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია: წესდების განხილვა და გამგეობის არჩევა. დამფუძნებელნი სთხოვენ წევრათ ჩაწერის მსურველთ მობრძანდენ დანიშნულ დროს.

ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო" ჩვენი ხალხის გაჭირვების შესახებ სწერს:

საერთო ქვეყნიერობის პირობათა ცვალებადობის გარდა, ჩვენში კერძოდ ადგილობრივი უბედურება გვეწვია, შიმშილი, წყალდიდობა, მოუსავლობა ღვინისა და სხვა ყველა მეურნეობის დარგის დაქვეითება და დაცემა. ათასგვარი მიზეზების გამო და, რასაკვირველია, უპირველესად მუშა ხელის ოჯახის მოწყვეტით, წინანდელი წელიწადი ერთი უმძიმესი და უსაშინელესი გამოდგა ქართველი ერისათვის. ჩვენი მეურნეობის მომავალი წლის ნიშნები დღეს უკვე სჩანს და ბევრს სანუგეშოს არას იძლევა.

გაძვალტყავებული, ულუკმაპუროდ უთესლოდ, უმუშახელოდ უსაქონლოდ დარჩენილი ჩვენი სოფელი, უეჭველია, მომავალი წლისათვის კიდევ უმეტეს უბედურებას უნდა მოელოდეს, თუ ამას ამინდმაც, როგორც დღემდე უწყობდა ხელს და შარშან, ისე შეუწყო ხელი, ეჭვს გარეშეა, მთელი ჩვენი ქვეყანა მშიერთა ბანაკად იქცევა. თავისუფალ სახელმწიფოებს ჰყავს თავისი პირისუფალნი—არსებობს მთელი სამინისტროები, ჩვენ კი არც სპეციალი დარგები და დაწესებულებები გვყავს ამის ანგარიშის გასაწევად, არც საჭირო თანხები მოგვეპოვება. როგორც შესწავლა ჩვენის მოთხოვნილებისა, აგრედვე სახსრის გამონახვა სულ თავზე აწევს, ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ და არსებულ დაწესებულებებს. უპირველესი ვალი ამ მხრივ ორ დაწესებულებას აწევს, სახელდობრ სამეურნეო საზოგადოებას და საქველმოქმედო საზოგადოებას.

მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ დაწესებულებებს ჯერაც არ აქვთ მიღებული ზომები მომავალი უსაშინელესი უბედურების თავიდან ასაცდენათ, რადგანაც ვერ აუდიან აწინდელ უბედურებისა და გაჭირვების შველას, ამისათვის მათ საკმაო ძალა არ მოეპოვებათ. მათ არ შეუძლიათ, რომ თავისი მცირე თანხით რამე თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინონ ხალხს. საჭიროა, რომ ამ საკითხს დიდი ანგარიში გაუწიოს წვრილი კრედიტის დაწესებულებებმა; იმათ უნდა გამოიკვლიონ ყველა მოთხოვნილება. ისინი სდგანან სოფელთან მახლობლად, მათ აქვთ საშუალება ადგილობრივ გაიგონ ყველას საჭიროება. ამიტომ, მათი ვალია უცილობლად მოჰკიდონ ხელი ამ დიად საქმეს და შეერთებული ძალით შეეცადნენ მომავალი წლის შიმშილობის თავიდან ასაცდენად. იმათ უნდა გამოარკვიონ რიცხვი საჭირო სათესლე პურისა და სიმინდისა. იმათ უნდა დაიხმარონ საქველმოქმედო და სამეურნეო საზოგადოებანი, უნდა აშოვნიონ ხალხს საქონელი და საწარმოვო იარაღი, და, სადაც შესაძლებელია, დაახმარონ მუშა ხელიც, თორემ აწიოკებულს წინანდელი უბედურებით ჩვენს სოფელს მომავალი წლის მოუსავლობის გამო ერთიანი შიმშილობა და საშინელი გადამდები სენის გავრცელება ელის.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

რადგანაც დამატების ქაღალდი ამჟამად ქუთაისში არ იშოვება დამატების ნომერს ვგზავნით გაზეთის ქაღალდზე.

✦ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობის თავმჯდომარემ სამსონ ღვინაძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო მათ მაღალ უსამღვდელოესობის საქართველოს ახალი ეგზარხოს პლატონისაგან: „გულითად მადლობას ვუძღვნი ყრილობას კეთილი სურვილების გამოცხადებისა და ლოცვისათვის და ვაკურთხებ მათ მომავალ შრომისათვის.

განუსაზღვრელათ ბედნიერი ვიქნები თუ ღვთისა და სამღვდელოების იმედით ვემსახურე სულიერ და მატერიალურ ინტერესს ივერიის ეკლესიისას" ეს დეპეშა პასუხია იმ მისალოცი დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა ყრილობამ.

✦ გუშინ ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით შედგა მაზრებისათვის ვაგონების გამნაწილებელი კომისიის კრება, რომელზედაც დაესწრო ვიცე გუბერნატორი, მაზრის უფროსი ქუთაისის პოლიცმეისტერი ქალაქის თავი, და ვაჭრების წარმომადგენელი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ბ-მა პოტულოვმა უკვე ნება დართო ქუთაისის მცხოვრებს მასწავლებელს ვლადიმერ ქრისტეფორის-ძე ნაცვლიშვილს გამოსცეს ქუთაისში ქართულ ენაზე ყოველ კვირეული ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება".

✦ მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ დღეს ქალაქის თეატრში დილის 12 საათზე, ქალთა წრის მიერ გამართული იქნება იაფ ფასიანი სახალხო ლექცია „ქალთა უფლება" წაიკითხავს ქ-ნი ოლ. ბაქრაძის ასული სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეფ. მესხი, ეკ. მიქელაძე ბ.ბ. გ. ტაბიძე და ი. ქლენტი.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ცხენების მობილიზაცია კიდევ გრძელდება.

✦ ჩვენ გვთხოვენ ყურადღება მივაქციოთ ქალაქის იმ სიბინძურესა და აურ-ზაურს მეურმეთაგან მიყენებას, რომელი სიბინძურითაც სავსეა და რომელ აურ-ზაურსაც განიცდიან ვექილთა ქუჩის მცხოვრებნი. როგორ იყო ამ ქუჩიდან ბევრის საჩივრისა და დავი-დავრაბის შემდეგ გადატანილ იქმნა ურმების გასაჩერებელი მოედანი, მაგრამ მეურმეები მაინც აქ აყენებენ ურმებს, აბინძურებენ აქაურობას და მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ...

✦ გუშინ საღამოთი დაიწყო ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით ქუთაისის გუბერნიის სამაზრო უფროსებისა და ხარჯის ამკრეფ ინსპექტორების კრებები. კრებაზე გაირჩევა შემდეგი საკითხები: ა) მაზრის უფროსების მოხსენება სოფლის ხარჯების აკრების მოსაწესრიგებლათ და ზომა მათი გაუმჯობესობისა. ბ) სასოფლო ხარჯთ აკრების რევიზიის მოწმობა და სოფლის ფუნქციების გაფართოება. (თანახმა მეფის მოადგილის 3 ივლისის 1915 წ. ცირკულიარისა. გ.) დარჩენილ გადასახადების მოწესრიგება. დ.) სამაზრო ადმინისტრაციის მოღვაწეობა სამაზრო სამეურნეო საზოგადოებაზე. ე.) სასურსათო კომიტეტის მოწყობაზე და სიძვირის ბრძოლის შესახებ. ვ.) სამაზრო უფროსების სახაზინო გადასახადების სარევიზიო კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ზ.) მდაბალი ჯარის კაცების პენსიის მოწყობის საქმე და სხვები.

✦ ორშაბათს, 25 იანვარს, მოხდება ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის საბჭოს კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები: ა) ქალაქის გამგეობის მოხსენება ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა, ბ) დაჭრილთა და დაავადმყოფებულ ჯარის კაცთა მომხმარე კომიტეტის წევრის არჩევა, გ) ღვინის ბირჟის კომიტეტის დეპეშა, რომელიც შუამდგომლობს დაუჭირონ მხარი მოსკოვის ქალაქის თვითმართველობას რომ თავისუფლათ გაყიდონ ღვინო, დ) ქალაქის გამგეობის მოხსენება, მიეცეს გამგეობას სესხის ნებართვა ქალაქისათვის საჭირო სანოვაგის სასყიდლათ, ე) ქალაქის სასკოლო კომისიის დასკვნა, მოემატოს ჯამაგირები ქალაქის სასწავლებლის მასწავლებლებს, ვ) ხმოსნის ი. ს. ფანცხავას განმარტება, რომ ის გაანთავისუფლონ ქუჩების დამრქმევ კომისიის თავჯდომარის თანამდებობიდან და ხმოს. ალ. კრინიცკის განცხადება, რათა გაათავისუფლოს საფთიაქო კომისიის წევრობიდან.

✦ მეყასბეებისა და მეპურეების განცხადება, ხორცზე და პურზე ნიხრის მომატების შესახებ.

უბედური შემთხვევა.

✦ 14 იანვარს, ს. ვაჟევის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებს თომა შეყრილაძეს ტყეში მუშაობის დროს დაეცა [illegible] გადმოვარდნილი დიდი [illegible] გვა.

✦ 5 იანვარს გაუფრთხილებლობის გამო ქ. ფოთში ცეცხლი გაუჩნდა დიმიტრი სტამოსის სახლს და სრულიად გადაიწვა ზარალი დიდია.

სათეატრო ქრონიკა.

დღეს, კვირას, 24 იანვარს, ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქნება ისტორიული პიესა **„ქეთევან წამებული"**. ქეთევანის როლს შეასრულებს დამსახურებული მსახიობი ქალი **ეფ. მესხი**. დანარჩენი როლები ასეა დანაწილებული: ბარველი „შაჰ-აბასს", კორიშელი „შერმაზან", მურუსიძე „ქაიხოსრო", ყალაბეგიშვილი „კონსტანტინე ბატონიშვილი".

ხუთშაბათს, 28 იანვარს, პლატონ კორიშელის ბენეფისი.

მზადდება ვანო ბარველის ახალი ისტორიული კომედია ერეკლე მეფის დროიდან **„გამარჯვებული"**.

„ჰორიზონი" ერობის შესახებ.

(იხ. „სახალხო" ფურცელი № 22 იანვ.)

„ჰორიზონის" პოლიტიკურ სულისკვეთებას ვინ არ იცნობს?! ხან ინტერნაციონალისტობს, ხან ნაციონალისტობს დროისა და პირობის მიხედვით, მაგრამ საერთაშორისო იდეალებსა და სამართლიანობას მხოლოდ მიტომ წაატანს ხოლმე ხელს, რომ თავის ვიწრო, შოვინისტურ ეროვნულ მიზანს მოახმაროს საშუალებად.

აი ახლაც. რომ სომხური ეთნოგრაფიული ერთეული გამოსჭრას, ამიერ-კავკასიის ხელახალ გამიჯნვას მოითხოვს. ამისთვის კი საჭიროდ მიაჩნია განჯისა და თბილისის გუბერნიებსა და ყარსის ოლქს დიდ-დიდი ნაჭრები ჩამოთალოს და ერევნის გუბერნიას მიაკეროს?!

ამაოდ შვრება: ისეთი მაკრატელი არ მოიპოვება, რომ რომელიმე ტერიტორია გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობათა წინააღმდეგ დასჭრას და დაამახინჯოს!

საერობო ერთეულის ფარგლის უმთავრესად ეკონომიური მოთხოვნილებანი უდევს საფუძვლად.

მაგალითად, ახალქალაქის მაზრის მცხოვრებს, სულ ერთია, სომეხია თუ ქართველი, ერევნისა გან უსიერი მთები ჰყოფს და ხსენებულ პატარა ქალაქთან არავითარი ეკონომიური კავშირი არ აქვს. ეს მაზრა თბილისის ახლოა და მაშასადამე კერძოდ თბილისთანა და საზოგადოდ საქართველოსთან განუწყვეტელი ეკონომიური კავშირით შეხორცებულია. ამიტომ თბილისის გუბერნიასთან მას მრავალგვარი საჭიროება აერთებს: გზები კრედიტი, სამეურნეო და სამრეწველო ამხანაგობანი, საერთო სამოსამართლო და საადმინისტრაციო ცენტრი და სხ.

იგივე ითქმის ბორჩალოს მაზრაზედაც, რომელსაც აგრეთვე თბილისთან უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს, ვიდრე ერევანთან.

განვიმეორებ: საერობო გამიჯნვა უმთავრესად ეკონომიურ საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული. თვარა, ეს პრინციპი რომ უარვყოთ, მაშინ, მაგალითად, კუდარო პირიქით—ოსეთისათვის უნდა მიგვეკერებინა!

მერე კიდევ! ჯერ სომხებს, მადლობა ღმერთს, არაფერი დაშავებიათ საქართველოში და რისთვის უნდათ ჩამოშორდნენ კავკასიის ცენტრს, თბილისსა, მოსწყდნენ მაშასადამე ქვეყანას და შეიკრუნჩხონ ერევნის გუბერნიის ვიწრო ხევხუვში? რას მოიგებენ?

ყარსის ოლქის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტად მიაჩნიათ, გემრიელ ლუკმასავით მისჩერებიან რომ რაც შეიძლება მალე გადაჰყლაპონ! მაგრამ სცდებიან: ვერ მოინელებენ, რადგან ამ ოლქის ის ნაწილი (არტაანი, გრუშეთი, ოლთისი), სადაც გამაჰმადიანებული ქართველები

კე, შინ, სამზადისით საქმეში, ქარხანაში, სავაჭროში, სავაჭრო სახლებში, დურგლის დაზგასა და სამჭედლოს ქურასთან; ეს მორალი აერთიანებს ხმლით, ჩაქუჩის და კალმის მოქმედებას და ერის საკეთილდღეოთ მიმართავს.

ეს მორალი განსაზღვრავს ხოლმე ომის ხასიათს, მაგრამ იგი ომის დროს კი არ იბადება და ვითარდება, არა, იგი მშვიდობიანობის დროსაა დაბადებული, გაფურჩქნული და განმტკიცებული.

მე დალოცვილო, მამაო, ჯარების მობილიზაციას რომ აცხადებდი და აწყობდი, განა ეს კმაროდა ასეთი უმაგალითო ომისათვის, როცა ერის ყოველმა პოტენციალურმა და თვალსაჩინო ძალამ თავისი ძლიერებით თავი უნდა იჩინოს—და, ამისთანა საქმეში მარტო მხედრობის და მისი ტანთსაცმელის და საკვების მომარაგება გეყოფოდა?

რატომ არ იცოდი, რომ უფრო დიდი საჭირო იყო მობილიზაცია ნიჭისა, ცოდნისა, ინიციატივისა, მუშაობის უნარისა, ქვეყნის ერთგულობისა, ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა.

და ეს თვისებანი ხომ გონივრულად აგებულმა კულტურამ, ისტორიამ, სახელმწიფო წესწყობილებამ, ნორმალურმა ყოფა მდგომარეობამ უნდა შექმნას და აღზარდოს.

ამგვარი თვისებანი მშვიდობიანობის დროს ცხოვრების პრაქტიკაში უნდა იყოს გამობრძმედებული და ზედ წელ განწმენდილი და, როცა დადგება ჟამი სასწრაფო საქმიანობისა, მაშინ მათი მობილიზაცია უფრო ბევრს გააკეთებს ომის წარმატებისათვის, ვიდრე მხედართა მობილიზაცია და მათი ამუნიცია.

აბა სულქვეშ სთქვი და გულ წრფელად აღიარე, გაქვს რამე ასეთი საქმისათვის გაკეთებული? რაღა კითხვაა საჭირო! მე თვითონ ვიცი, რომ არაფერი გაქვს და კიდევაც ამიტომ არ მინდა შენი არარაობის მემკვიდრე შევიქნე.

გთხოვ, ნუ ვაცდენთ ამ პატიოსან ნატარიუსს: მაგას წელს ბევრი ხარჯები მოუვიდა და ცუდათ დროს დაკარგვა არ მართებს.

ანჯაფარიძის არ იყოს, ბატ. კოკოჩაშვილიც სახტად დარჩა, მაგრამ თავს იმითი ანუგეშებდა წარსული წლის გაკოტრების შესახებ მოისმინა.

მორალს რომ მოგახსენებდი და ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, ეგ ორი მცნება სამართლმადიდებლოში აღარ მოგეძევება, მოწყალეო მამაო, სრულიად აღარ მოგეძევება! განაგრძო ახალმა წელმა და დაუმატა.

ნამდვილი, პირწავარდნილი შექსპირის შაილოკები წარმოგიშვია: მის მაგიერათ, რომ თავის ქვეყნის დამცველთათვის ზურგი გაემაგრებიათ, პატრიოტული ქველობა გამოეჩინათ, რუსეთის ვაჭრები გერმანელების პირველი მოკავშირენი შეიქნენ.

კაიზერი ფიქრობდა რევოლიუციონერები მომეხმარებიან, ისინი გასტეხენ შიგნიდან ციხეს და რა აღმოჩნდა! ეგ უბადლო ალებული პარტიები მტერს თავს აკლავენ და სისხლით იწრიტებიან და ვაჭრები, ბანკირები, მრეწველები და ჩარჩები ძარცვენ და გლეჯენ ყველას, ვისაც ვაჭრობაში ფეხი არ უდგას. თითქო პირობა აქვთ მიცემული ერთმანეთისათვის; ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ერთნაირი ენით ლაპარაკობენ სიცრუეს, ერთნაირი ყალბი ანგარიშებით, ერთნაირი მეთოდით აწარმოებენ ანგარიშების საქმეს. აი, თუ ომის გათავებას მოესწრო ქვეყანა, ესენი იქნებიან თვის ადგილზე ასაყვანი ამათთვის უნდა აღიმართოს სამარცხვინო ბოძები, ამათთვის უნდა დაინიშნოს ჯვარცმის დღე, და ასეთი სამკვიდრებელი უნდა მივიღოთ თქვენგან, ძვირფასო მამაო?!

ვერა მე ვერ მოვული და ვერ დავიცავ შიმშილით გაწვალებული ხალხისაგან იმ ნადავლს, რომელსაც ახლანდელი ვაჭარი ომის ცეცხლის დროს ძარცვით აგროვებს.

რუსეთის პურისა და შაქრისათვის და ბევრი სხვა სიმდიდრისათვის ბნელ უცხოეთის ბაზარი დახურულია, დაკეტილია მაგრამ რუსეთში ვაჭარი არა უპურობის და უშაქრობის გამო იტანჯება.

ეგ ურცხვნი და უნამუსონი თვისი ხალხისა და ქვეყნის სასოწარკვეთილებისა და ილაჯ გაწყვეტისათვის შენთქმულან თითქო.

ეგ უბედური ქუთაისიც და მისი ვაჭრებიც რომ ფეხის ხმას აყვენ! ძმისა და მოყვასის უბედურებით უნდათ ხელი მოითბონ. მაგრამ რამდი, რამდი შერჩებათ სიხარბით მოგებული! კიდევ და ათასჯერ გავიმეორებ, რომ ღმერთმა დამიხსნას ასეთი სამკვიდრებლის მიღებისაგან, მშვიდობით ბრძანდებოდეთ ძვირფასო მშობელო, წაილაპარაკა ჯიუტმა მემკვიდრემ; მერმე მიუბრუნდა ნატ. კოკოჩაშვილს და ამ სიტყვებით გამოემშვიდობა:

ვწუხვარ, რომ დრო დაგაკარგვინეთ; ვიცი, დიდი ნახარჯი ბრძანდებით და თქვენთვის ყოველი წამი ძვირად ღირს, მაგრამ არა რაობის სიგელი რა ნაირად უნდა შეგედგინა? მაგ მამაცხონებულს იმდენი მაინც რომ დაეტოვებია ჩემთვის, ცხონებულმა მამა თქვენმა თქვენ რომ დაგიტოვა, დიდი სიამოვნებით მივიღებდი მისს ეკონომიურს და მორალურს დოვლათს, მაგრამ საკუთრება კი არა, ვალის მეტი და ზნეობითი გახრწნილების მეტი არაფერი აქვს გადმოსაცემი.

თქვენს მშობელს კი საქველმოქმედო დაწესებულებისათვისაც განუზრახავს თურმე გვარიანი წილის შეწირვა.

ვნახოთ ეგება აბდუშელიშვილმა მოახერხოს ამ ახირებული მამაშვილის მორიგება. მანამდი კი ძველი ისევ ძველათ რჩება.

სამსონ ყიფიანი.

ცხოვრებენ, ეკონომიურად, კულტურულად, სარწმუნოებრივად და ზნეობრივად მესხეთთან არიან დაკავშირებული და შესისხლხორცებული. მიკვირს, რისთვის უნდათ შეიერთონ ისეთი ელემენტები, რომლებთანაც ვერასოდის ვერ მოივლიან და ვერ შერიგდებიან?! და რისთვის უნდათ შეიტანონ მშვიდობიან საეროზო მუშაობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი შუღლი და განხეთქილება?!

ერთობ ძვირად დაუჯდათ შოვინისტური პოლიტიკა, მაგრამ საკვირველია რომ მწარე გამოცდილებამ ოდნავაც ვერ აუხილა მათ თვალი და ვერ დააყენა საღს, რეალური პოლიტიკის გზაზე.

ასარი.

სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

VIII.

ცხადზე უცხადესია, რომ საზოგადოთ სკოლა იძლევა მხოლოდ საფუძველს, დასაწყისს ცოდნისას, ხოლო ამ დასაწყისის განვითარება, ამ საფუძველზე კედლების ამართვა, მისი გამოყენება ჩვენი საქმეა. სკოლაში მიღებული ცოდნა იგივე ნაღვერდალში შენახული ნაკვერჩხალია, რომელსაც თუ გააღვივებ, დიდ ცეცხლათ იქცევა, არა და გაქრება. ამიტომ სკოლაში მიღებული ცოდნის გაღვივება ჩვენი თვითგანვითარების საქმეა. აი, ასეთს გაღვივებულ ცოდნას მოაქვს სარგებლობა, ასეთ განვითარებას გააქვს მუდამ ლაპლაპი, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჟანგი მოეკიდება, ჟანგი შესჭამს. ამ გვარათ ცოდნასაც, შეიძლება მგზავსათ იმ ორი ხანჯლისა, რომელნიც ერთსა და იმავე სამჭედლოდან გამოვიდნენ, მაგრამ სხვა და სხვა ბედი ეწიათ, იგივე ბედი ეწიოს. შეიძლება ის ნაყოფიერიც იქნეს და უნაყოფოც გამოდგეს, თუ ჩვენი მოზარდი თაობა თვითგანვითარების გზას არ დაადგა, მისგან სკოლაში შეძენილ ცოდნასაც ჟანგი შესჭამს და მაზედ გაწეული ხარჯი და შრომაც ტყვილათ გაივლის. მაგრამ ამაში მას სკოლაც უნდა ხელს უწყობდეს. თვითგანვითარების საქმეში დიდ სამსახურს უნდა უწევდეს ჩვენს მოზარდ თაობას, სკოლასთან არსებული წიგნ-საცავ-სამკითხველოები, რომლებიც უნდა იყვნენ სკოლის განგრძობა, სკოლის დამატება. ეს შეიძლება იყოს მაშინ, თუ ისინი წესიერათ, დროის და შესაფერისათ იქნებიან მოწყობილი.

ჩვენს საეკლესიო სამრევლო სკოლებსაც აქვთ პატარ-პატარა წიგნსაცავები და მთავრობაც კარგა ბლომა ხარჯსა და შრომას ეწევა ამის გამო, მაგრამ ამაოთ. ამ წიგნსაცავებში რა გვარ წიგნს არ შეხვდებით, რომელი მწერლის ნაწერები არ არის, ერთი სიტყვით ყოველნაირი წიგნია, რომელიც კი სახალხო საკითხავათ გამოდგება და ნება დართულია, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ბავშვებს ის ენა, რომელზეც ეს წიგნებია დაწერილი, იმდენათ ვერ შეუთვისებიათ, ამ ენაზე უაზროთ ლექვა-ზეპირობისა გამო, რომ წაკითხული გაიგოს, მათი ისინი ვერ სარგებლობენ და ეს აუარებელი წიგნები სკოლებში ტყვილა ჰყრია და მარტო თაგვების სახრავათ გამხდარა. ამის გამო ჩვენი ბავშვები თვითგანვითარების ამ წყაროს მოკლებული არიან, სკოლაში მიღებულ ცოტაოდენ ცოდნას ვერაფერს უმატებენ, ვერ ავითარებენ და ცხოვრებაში ვერ იყენებენ და ისიც ავიწყდებათ, რაც სკოლაში შეუძენიათ და ბოლო იგივ უცოდინარო და შეუგნებელი გვრჩება ხელში, როგორც სკოლაში მიყვანამდის იყო.

ამ გვარათ ტყვილა უბრალოთ დრო იკარგება, ფული იხარჯება, გულს გვამადლიან და წიგნებს კი თაგვები ხრავენ. ამით მთავრობაც ზარალშია და საზოგადოებაც და ბავშვები და მათი მშობლებიც მოტყუილებული, პირში ჩალაგამოვლებული რჩებიან და სკოლასაც ხალხის თვალში სახელი უტყდება.

ამას განა ის არა სჯობდა, რომ, რადგანაც სიკეთეს, მადლს შვრებიან, მარილიც მოაყარონ და, თუ ამ ფასის არა, რასაც დღეს ხარჯვენ, მისი მეათედის მაინც ბარემ სამშობლო ენაზე მიაწოდონ რომ ბავშვებმაც ისარგებლონ და მათი საშუალებით მშობლებმა და ახლობლებმაც გაიგონ და შეიგნონ ის, რისათვისაც ისინი იწვრებიან. მაგრამ დღეს ჩვენში ამ გარემოებას ანგარიშს აღარ უწევენ და ტყვილა უბრალოთ სიზიფისებურ შრომას ეწევიან.

ეს გარემოება მომაგონებს იმ კაცის მოქმედებას, რომელმაც, დაინახა რა რომ მის გარშემო ყველა შრომობს და თავისი ნაშრომით სტკბება, ისიც შრომას უდგება. ამისთვის ის მხარზე იდებს ლოდს და დილიდან საღამომდი გააქვს და გამოაქვს მინდვრის ერთი თავიდან მეორემდე ისე რომ საღამოს ოფლათ გახეთქილი და დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდება. ამასობაში გადის წელიწადიც, დგება შემოდგომა და ყველანი უდგებიან წლის ნაშრომ-ნაღვაწის თავის ადგილზე დაბინავებას;

დატვირთული ურემი ურემს მისდევს და ბეღლებ-სასიმინდეები და ქვევრ-მარანი წლის მოსავლით ივსებიან. ამათ ფეხის ხმას ესმის, ლოდის მზიდველიც, აჰყვა. ისიც გავიდა თავისი ნაშრომ ნაღვაწის შესაკრებ-შესაგროვებლათ, მაგრამ თავის ნაშრომ მინდორში გარდა იმ ლოდისა, რომლისაგან წელი ჰქონდა მოწყვეტილი, და მისგან ნატკეპნი გზაწვრილისა და ნარცკალისა ვერა იპოვა რა და პირ ამოხალული დარჩა. სწორეთ ასეთივეა ბოლო იმ შრომისა და ხარჯისა, რომელსაც დღეს ჩვენში ეწევიან, რაღაც პოლიტიკური მოსაზრებით, მაგრამ უმნიშვნელოთ და უნაყოფოთ რჩება. ნეტამც როდის ექნება ბოლო ამ უნაყოფო შრომას?!

დი—ზი.

მოგონებანი მგოსან აკაკის წარსულ ცხოვრებიდან.

როგორც საზოგადოთ მთელ საქართველოში, ისეთივე მწუხარება და გლოვა გამოიწვია დიდებული კაცის სიკვდილმა ს. ჩუნეშში (ციხის გვერდი). გადახდილ იქნა პანაშვიდი 8 თებერვალს 1915 წ. თამარ დედოფლისგან აშენებულ უძველეს ეკლესიაში, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი შემთხვევა დიდებული მგოსნის ცხოვრებიდან, რომელმაც (ციხის გვერდის) ჩუნეშის მცხოვრებნი აღტაცებაშიდ მოიყვანა. 1900 წ. 30 კვირიკობისთვეს ჩუნეშის სერებიდან დავინახეთ ქუთაისის გზით მომავალი ეტლი, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა თ-დ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ეზოს. რამოდენიმე წუთის შემდეგ ცაცხვის ჩრდილში მყოფებმა კარგათ გავარჩიეთ ჩვენი სიამაყე, მგოსანი აკაკი. ჩვენ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა ამ გვარი უეცარი ნახვით იმ დიდებული კაცისა, მით უმეტეს რომ ბევრთაგანს ჩუნეშის მცხოვრებს ის არც კი ენახა.

როდესაც ეტლი გაჩერდა, ეზოშიდ მაშინვე რამოდენიმე კაცმა ხელ-და ხელ ავიყვანეთ და ძირს ჩამოვსვით ჩვენი სიამაყე აკაკი. როდესაც გავბედეთ და შევეკითხეთ იმისი ასე უეცარი მობრძანების მიზეზი გვიპასუხა, რომ ქუთაისშიდ ჩამოვედი და მინდოდა მენახა ჩემი ძველი მეგობარი ბ. სეფე მხეიძე, და როდესაც მითხრეს, რომ ეს სეფე აქ მოყვარეშიდ არისო, მეც ავდექი და გამოვემგზავრე აქეთ. იმ დროს თ. მხეიძე სათევზაოთ იყო წასული; მაშინვე ვაფრინეთ კაცი და რამოდენიმე წუთის შემდეგ მხეიძეც მოვიდა რამდენიმე აცმა ახალი კალმახით ჩვენ მხიარულებას თან დაერთო თ-დი კონსტანტინე ლორთქიფანიძის უხვი მასპინძლობა. სასიამოვნო სანახავი იყო ღრმათ მოხუცებული თ-დი დიმიტრი (მეტი სახელი მისი ბეკინა) ლორთქიფანიძე, რომელმაც თავის სიმახვილით და ღრმა ქართულის ცოდნით განცვიფრებაში მოიყვანა ჩვენი ძვირფასი სტუმარი. ნიშნათ დიდებული სტუმრის აკაკის ბრძანებისა ბ. სეფე მხეიძემ თაფლის სანთლის ალით დასწერა სახლის ჭერზედ. „უზომოთ გახარებულნი აკაკის მობრძანებით 1900 წ. 30 კვირიკობისთვე".

მეორე დღეს ბ. სეფე მხეიძე რამოდენიმე ცხენოსანი თავად-აზნაურობით გამოყვა დიდებულ სტუმარს ხუთი ვერსის მანძილზედ. გზაზედ მათ შეხვდათ გოგია გუბელაძე (ბ. სეფე მხეიძის მეუღლის დის ქმარი) რომელმაც სთხოვა აკაკის მისი ხელთ-ნაბანი დაექცია მის ეზოშიდ, რაზედაც ის სიამოვნებით დასთანხმდა. როდესაც შევიდნენ ეზოშიდ, სადაც მშვენიერი ფანჩატური აემართათ, აღფრთოვანებულმა მასპინძლებმა გუბელაძეებმა დიდი პატივი სცეს დაუვიწყარ სტუმარს.

ხუთ საათზედ კი გამოეთხოვა აკაკი ყველას და ქუთაისისკენ წაბრძანდა.

თ-დი როსებ ლორთქიფანიძე.

პატარა ფელეტონი.

მოგონება

(მინიატურა).

განახლების ხანა იყო. ახალგაზრდობა მუშაობაში იყო ჩაბმული. მახსოვს გაზაფხული იყო. მზე მკაცრად ახურებდა დედამიწას და მთების ძირიდან ამოცურებული ღრუბლები მისრიალებდენ ცის კაბადონისკენ. საღამო წყნარი და საამო დადგა.

ასეთ საამურ საღამოს ჩვენ, მუშები, საავარაკო მატარებლით მოვდიოდით.

ტყესა და მინდორ შუა გადებულ ლიანდაგზე მიჰქროდა და მისრიალებდა მატარებელი. ორთქმავალი აჰმოხნიულით გუგუნებდა და თანაც მიისწრაფოდა წინ, უახლოვდებოდა იმ სადგურს, სადაც ჩვენ უნდა შევჩერებულიყავით.

ტყე შეთხელდა, მოშორებით გამოჩნდა სახლები, ქარხნები.

კიდევ ცოტახანი და ორთქმავალმა დაისტვინა, ჩაიქროლა სადგურის წინ, იქ მყოფნი ორთქლში და კვამლში გახვია, ტორმოზები მოუჭირეს, ვაგონები ერთმანეთს დაეტაკენ, ერთხელ კიდევ შეანძრიეს იქაურობა და შეჩერდენ.

ჩვენ ვაგონებიდან გამოვედით. და ბაღისკენ წავედით. იქ წითელ რაზმელებს შევუერთდით, ბრძოლისათვის ვემზადებოდით.

— რა იდეალურ კოშკებს აგებდა მაშინ ფრთა შესხმული ოცნება!

სისხლი დუღდა და გული სათუთ გრძნობისკენ იწევდა!

მთელი დედამიწა მოვარაყებულ შუქით იყო მოფენილი. მზე არა ჩვეულებრივათ აფორიაქა ჰორიზონტი. ცეცხლათ მონავარდე მზის სხივები, თითქოს ხელ გაშლილი ეხვეოდა ცოდვილ დედამიწას, რომ დაბრუნებისას ენახა ის ფერ-შეცვლილი.

რა მომხიბლავი სიმშვენიერე სუფევდა მაშინ! ყველას გვსურდა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი, გადამწყვეტი. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია.

გაისმა სროლის ხმა და ჩვენც იქითკენ გავქანდით. რა საშინელი სურათი ვნახე!

ჯვარედინ გზა—ტკეცილზე ბრძოლა იყო!..

გაბრაზებული ხალხი მუსრს ავლებდა ერთმანეთს. ისმოდა კვნესა სევდით და მწუხარებით მოცული. ტყვიები ზუზუნებდენ, ხმლები ელვარებდენ და დასახიჩრებული ხალხი კი იბრძოდა...

გარშემო ისმოდა მქუხარე კივილი, გამარჯვების ქიჟინით გატაცებულ მეომართა.

არ შემიძლია სიამოვნებით არ მოვიგონო ის სულის ალმაფრენი ტრაგედია ბრძოლისა, რომელიც გონებისათვის წარმოუდგენელია.

მაშინ საქმიანობა ისე არ იყო სევდით შესუდრული, როგორც ახლაა!..

მაგრამ იღბალმა გვიმტყუნა და ჩვენ დავმარცხდით.

— ე-ეხ! რა სიამენებით ვიგონებ იმ წუთებს ბრძოლისას!.. სთქვა ეს ხანში შესრულმა მუშამ და დაღონებული ჩაფიქრდა.

მისი სიტყვებს როგორც მჩქეფარე ნაკადულს, თავისკენ მიმზიდველს, ალვლებში მოჰყავდა ადამიანი.

ვასო ჭითავა.

კოოპერატივი და სოფლის ჩარჩები.

ნათქვამია „ზოგი ჭირი ჭირი მარგებელიაო" და თუ ერთი მხრით დღევანდელმა ომმა და წარსული წლის მოუსავლობამ დააცარიელა, გაალატაკა და დაამშია ჩვენი სოფელი. მეორე მხრით მასში აამოძრავა უნარი საშუალების ძებნისა. ერთად ერთი და საუკეთესო საშუალება კი ცხოვრების უკულმართობასთან შეერთებული ბრძოლაა და ჩვენდა საბედნიეროდ ამ აზრის შეგნება თანდათან ღრმავდება ჩვენი ხალხის გონებაში. დღე ისე არ გავა, ისე გაზეთის ფურცელს ვერ წაიკითხავთ, რომ არ წააწყდეთ რამდენიმე კორესპონდენციას „აქა და ამ ადგილზე ესა და ეს ამხანაგობა დაარსდაო" ზოგან უკვე გაიხსნა და იხსნება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, სამკითხველო და კოოპერატიული დუქანი. მკითხველის ყურადღება უკანასკნელზე მინდა მივაქციო. არც ერთ დაწესებულებას არ ჰყოლება ისეთი თავ გამოდებული მტრები, როგორც კოოპერატიულ დუქანს.. ეს მტრები ჩარჩ-ვაჭრები არიან, ვინაიდან კოოპერატიული დუქანი ალაგმვას უქადის უკანასკნელთა მოქმედებას. ჩარჩები კარგათ გრძნობენ ამას, გრძნობენ, რომ უკანასკნელი მათი გამაკოტრებელია და არავითარ ზომას არ იშურებენ პირველთან საბრძოლველად. ყოველ მხრივ ცდილობენ რომ კოოპერატიულ ამხანაგობას ძირი გამოუთხარონ და ხშირად მის წინააღმდეგ უსირცხვილო მოქრთამულ პირებსაც კი ალაპარაკებენ, რომ ხალხში ამხანაგობისადმი უნდობლობა გაავრცელონ და ცრუმორწმუნე ხალხის ხელით ნათესი ნარი თვითონვე გლიჯონ. საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ ყველაზე მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას, მეტი ენერგიით ებრძოლოს ვაჭართა ეგოისტურ მოსაზრებაზე აგებულ პროვოკაციას და დასაწყისშივე განუმარტონ საზოგადოებას თუ რა დამოკიდებულება არსებობს ჩარჩ-ვაჭრებისა, კოოპერატიულ ამხანაგობისა და თვით ხალხის ინტერესთა შორის.

Nomis

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ლონდონი. 21 იან. ინგლისის მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. დღის განმავლობაში მტერმა მძლავრათ დაუშინა საარტილერიო ცეცხლი ლოოსსა და მის გარშემო მიდამოებში გაკეთებულ თხრილებს. ჩვენ წარმატებით ვუპასუხეთ მტერს. ჰოჰენცოლერნის რედუტის ახლოს და აგრეთვე ამ რედუტსა და ლიაბასესკენ მიმავალ გზის შუა სანაღმო ბრძოლა სწარმოებდა წარმატება ჩვენს მხარეს იყო.

რომი. 21 იან. მთავარი ბანაკის ცნობა. ჩვენმა მფრინავთა რაზმმა არტილერიის ცეცხლის დახმარებით იერიში მიიტანა და გაფანტა მტერი ზლევის ჩრდილო დასავლეთით. ასტიკოსა და ტორის ბრძოლის ხაზზე 19 იანვარს საღამოთი თეთრ ჩადრებში გამოწყობილმა მტერმა ტყვიის მტყორცნელთა ცეცხლის დახმარებით ჩვენს პოზიციებამდი მოახლოება შესძლო, მაგრამ ჩვენ კონტრიერიშით უკუ ვაქციეთ სუგანის ხეობაში ჩვენს ქვეითა ჯარს შეტაკება მოუხდა მტერთან რონჩეგნსა და რონკის შუა, სადაც წარმატება ჩვენს მხარეს იყო. იზონცოსთან ხან გამოშვებით საარტილერიო სროლა სწარმოებდა, გორიცის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ [illegible] დაუშინა მტრის ჯარს, კარსოსთან ერთი ჩვენი რაზმი მოულოდნელად [illegible] თხრილებში სანტ-მარტინო[illegible] და ტყვეთ წამოიყვანა რამდენიმე კაცი, იხელთა თოფები და ყუმბარები.

პარიზი. 21 იანვარი. ენის ჩრდილოეთით ჩვენ სროლა აუტეხეთ მტრის თხრილებს ვოკლერისა და ვილიებუას ჭალაში. ამას გარდა სროლა აუტეხეთ გერმანელთა ჯარს, რომელიც ბერმებაკიდან ქვენკურისკენ გადიოდა. არგონებში [illegible] ძლიერი სანაღმო ბრძოლა. აქ ჩვენ ავაფეთქეთ რამდენიმე ნაღმი, რომლითაც დაინგრა მის ქვეშ გაკეთებული სიმაგრეები. მაგ., ერთი ქურა ავაფეთქეთ კურტოშესთან, მეორე ვილმორტთან, 4-ე მაღლობ 285 გოტშევოშესთან და სამი ვოკუასთან. მაღლობ 285 და გოტშევოშეს შუა მტერმა იერიში მიიტანა ჩვენ სადარაჯო მცირე რაზმებზე, მაგრამ არტილერიის ცეცხლითა და ხელით სასროლი ყუმბარებით იერიში შევაჩერეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი. შევალიეს ტყეში საარტილერიო სროლა. ელზასში, ლატურის სამხრეთით, ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გაუწვია მტრის ბანაკში.

ჰავრი. 21 იანვარი. ბელგიის ცნობა. ბელგიის ჯარმა განაახლა სასტიკი საარტილერიო ბრძოლა დიკსმიუდესთან.

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძე.

მ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს. 50
„	საღამ.	6 ს. 57
ბათომიდან	დღისით	1 ს. 25
„	ღამის	2 ს. 23
ფოთიდან	დილის	10 ს. 8
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს. 39
შორაპნიდან	დილის	9 ს. 18

მ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს. 55
„	ღამის	1 ს. 7
ბათომისაკენ	დღისით	5 ს. 30
„	დილის	4 ს. 27
ფოთისკენ	დღისით	4 ს. 27
ტყიბულისკენ	დილის	6 ს. 20
შორაპნისაკენ	დღით.	5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი!!
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეით სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.**

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქმით პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმიო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან, სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით განთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ბევრს ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვახმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან ვერ მათავისუფლეს.
თქვენი უერთგულესი ია. ნ. კოლეგოვი.
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. (წერილი)